

საბუნებრივი ადრიცხვის საფუძვლები (ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტი) I,II სემესტრი. 2020-2021 წელი
(შუალედური გამოცდის ნიმუში)

Question 1

ბუნებრივი ადრიცხვის ძირითადი დამახასიათებელი თავისებურებები და სპეციფიკური მეთოდებია:

Select one:

- a. არც ერთი პასუხი არ არის სწორი
- b. კალკულაცია, მონაცემთა განზოგადება ბალანსში და ანგარიშგების სხვა ფორმებში
- c. დოკუმენტრუნვა და ანგარიშგების წარდგენა ზემდგომ ორგანოში, ორმაგი ჩაწერა, დროში უწყვეტობა.

Question 2

ფინანსური ადრიცხვის ძირითადი დანიშნულებაა:

Select one:

- a. ინფორმაციის მიწოდება მხოლოდ გარე მომხმარებლებისათვის
- b. ინფორმაციის მიწოდება მხოლოდ შიდა მომხმარებლებისათვის
- c. ინფორმაციის მიწოდება ყველა დაინტერესებული პირებისათვის

Question 3

ფინანსური და მმართველობითი ადრიცხვის დამახასიათებელი თავისებურებებია:

Select one:

- a. ფინანსური ადრიცხვა სტანდარტიზებული ადრიცხვაა, რომელიც დადგენილ წესებს ემორჩილება. მისი წარმოება გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს, რომელიც გამომდინარეობს საერთაშორისო სტანდარტებიდან.
- b. მმართველობითი ადრიცხვის ინფორმაცია შიდა მომხმარებლებისთვის მზადდება, ნაკლებად სტანდარტიზებულია. მისი წარდგენა თავისუფალი ფორმატით შეიძლება და არ არსებობს რაიმე სახის მკაცრი წესები და შეზღუდვები.
- c. ორივე პასუხი სწორია

Question 4

პატენტი არის:

Select one:

- a. გამოგონების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელის მფლობელსაც არ შეუძლია სხვა პირს გადასცეს გამოგონების გამოყენების უფლება.
- b. გამოგონების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც მის მფლობელს ანიჭებს ექსკლუზიურ უფლებას გამოიყენოს ეს გამოგონება გარკვეული დროის განმავლობაში. პატენტის მფლობელს უფლება აქვს სხვა პირს გადასცეს გამოგონების გამოყენების უფლება.

c. დოკუმენტი, რომელიც მის მფლობელს ანიჭებს სხვისი ქონების გამოყენების უფლებას

Question 5

საწარმოს მიერ გადახდილი ავანსები:

Select one:

- a. კაპიტალის გარკვეულ ნაირსახეობას წარმოადგენს, რომელიც საწარმოს მოუტანს შემოსავლებს
- b. ვალდებულებების გარკვეულ ნაირსახეობას წარმოადგენს, რომლის სანაცვლოდაც საწარმომ უნდა გასცეს ფულადი ან მატერიალური ფასეულობები
- c. მოთხოვნების ნაირსახეობას წარმოადგენს. ის წინასწარ გადახდილი თანხებია, რომლის სანაცვლოდ საწარმომ შეიძლება მიიღოს ნედლეული, მასალა, საქონელი, შესრულებული სამუშაოები, მომსახურება და სხვ.

Question 6

წინასწარ გაწეული ხარჯები:

Select one:

- a. საწარმოს საბრუნავი აქტივებია. ისინი მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გაიწევა, მაგრამ მომავალ პერიოდებს მიეკუთვნება.
- b. საწარმოს საბრუნავი აქტივებია. ისინი მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გაიწევა, დამიმდინარე პერიოდს მიეკუთვნება.
- c. საწარმოს ძირითადი აქტივებია. ისინი მიმდინარე საანგარიშო პერიოდში გაიწევა, მაგრამ მომავალ პერიოდებს მიეკუთვნება.

Question 7

ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის ელემენტებია:

Select one:

- a. პირველადი დაკვირვება, ღირებულებითი გაზომვა, ბალანსირება, ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა სისტემა და ორმაგი ჩაწერა.
- b. აღქმადობა, შესაბამისობა, შესადარისობა, სიზუსტე
- c. ფულადი ნაკადების ანგარიშგება

Question 8

რა არის კალკულაცია?

Select one:

- a. ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი, რომელიც გულისხმობს გამოშვებული პროდუქციის მოცულობის განსაზღვრას ფულად გამოსახულებაში
- b. ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი, რომელიც გულისხმობს რეალიზებული პროდუქციის მოცულობის განსაზღვრას ფულად გამოსახულებაში

- c. ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი, რომელიც გულისხმობს გამოშვებული პროდუქციის ერთეულის თვითღირებულების განსაზღვრას

Question 9

რეალიზაციის პრინციპი გულისხმობს:

Select one:

- a. საწარმომ შემოსავლები უნდა აღიაროს მისი კუთვნილი აქტივების (პროდუქციის, საქონლის, ძირითადი საშუალებების) მყიდველზე გადაცემის მომენტში, ხოლო ხარჯები ამ ხარჯებთან დაკავშირებული ვალდებულებების წარმოქმნის მომენტში, მიუხედავად იმისა თანხა მიღებულია ან გადახდილია თუ არა.
- b. საწარმომ შემოსავლები უნდა აღიაროს მყიდველისაგან თანხის მიღების შემდეგ
- c. საწარმომ შემოსავლები უნდა აღიაროს მყიდველისაგან თანხის მიღების შემდეგ, ხოლო ხარჯები, ამ ხარჯებთან დაკავშირებული ვალდებულებების წარმოქმნის მომენტში,

Question 10

პერიოდიზაციის პრინციპი ნიშნავს:

Select one:

- a. მოცემულ პერიოდში მიღებულ შემოსავლებს უნდა დაუპირისპირდეს მიმდინარე და გასულ პერიოდებში გაწეული ხარჯები
- b. მოცემულ პერიოდში მიღებულ შემოსავლებს უნდა დაუპირისპირდეს ხარჯები, რომელიც ამ შემოსავლების მიღებასთან არის დაკავშირებული იმავე პერიოდში.
- c. მოცემულ პერიოდში მიღებულ შემოსავლებს უნდა დაუპირისპირდეს მომავალ პერიოდებში გასაწევი ხარჯები

Question 11

არსებითობის პრინციპი ნიშნავს:

Select one:

- a. მხოლოდ ის ფაქტები უნდა აისახოს, რომელიც არსებობდა მოცემულ საანგარიშო წელს
- b. ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს ყველა ფაქტი
- c. ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა აისახოს მხოლოდ არსებითი ფაქტები, რომელთა გამოტოვება გამოიწვევდა ანგარიშგების დამახინჯებას და საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და ფინანსური შედეგების შესახებ არარეალური სურათის შექმნას.

Question 12

ფინანსური ანგარიშგების შედგენისას, რომელ ძირითად დაშვებებს ითვალისწინებს საბუღალტრო აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები?

Select one:

- a. ანგარიშგების სამართლიანად შედგენა
- b. დარიცხვის მეთოდი და ფუნქციონირებადი საწარმო

c. შემოსავლების გადამეტება ხარჯებზე

Question 13

რა არის ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია?

Select one:

- a. ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულია არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირად და აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს
- b. ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის საწარმო/ორგანიზაცია, რომელიც აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს
- c. ბუღალტერთა ან/და აუდიტორთა პროფესიული ორგანიზაცია, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულია კერძო სამართლის იურიდიულ პირად და აკმაყოფილებს კანონით დადგენილ მოთხოვნებს

Question 14

ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლების შესაბამისად, რას ნიშნავს შინაარსის ფორმაზე აღმატებულობა

Select one:

- a. ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაცია უნდა აისახოს ეკონომიკური რეალობიდან გამომდინარე
- b. არც ერთი პასუხი არა არის სწორი
- c. ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაცია უნდა აისახოს მხოლოდ სამართლებრივი ფორმის შესაბამისად

Question 15

ფინანსური ანგარიშგების კომპონენტებია

Select one:

- a. ბალანსი, ანგარიშგება მოგება-ზარალის შესახებ, ანგარიშგება ფულადი საშუალებების მოძრაობის შესახებ
- b. აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი;
- c. შემოსავლები და ხარჯები.

Question 16

ფინანსური ანგარიშგების ელემენტებია

Select one:

- a. საცდელი ბალანსი
- b. აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები და ხარჯები
- c. ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ; ანგარიშგება კაპიტალში ცვლილებების შესახებ

Question 17

ბუღალტრული ბალანსის ელემენტებია

Select one:

- a. შემოსავლები და ხარჯები
- b. ვალდებულებები, მოგება-ზარალი
- c. აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი

Question 18

საწარმოს ბალანსში ვალდებულება აისახება, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ

Select one:

- a. ორივე პასუხი სწორია
- b. მისი დაფარვა მომავალში გამოიწვევს საწარმოდან რესურსების გასვლას
- c. მისი დაფარვა მომავალში გამოიწვევს საწარმოდან რესურსების შემოსვლას

Question 19

მოგება-ზარალის შესახებ ანგარიშგების ელემენტებია

Select one:

- a. შემოსავლები და ხარჯები
- b. აქტივები, ვალდებულებები და კაპიტალი
- c. მოგება ან ზარალი

Question 20

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად საზოგადოებრივი დაინტერესების პირები და პირველი კატეგორიის საწარმოები ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ნგარიშგებას აწარმოებენ:

Select one:

- a. მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად. ამასთანავე, მათ უფლება აქვთ, გამოიყენონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS);
- b. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად
- c. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად

Question 21

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მეორე და მესამე კატეგორიების საწარმოები ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებენ:

Select one:

- a. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად
- b. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად
- c. მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად. ამასთანავე, მათ უფლება აქვთ, გამოიყენონ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები (IFRS)

Question 22

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მეოთხე კატეგორიის საწარმოები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები ბუღალტრულ აღრიცხვასა და ფინანსურ ანგარიშგებას აწარმოებენ:

Select one:

- a. მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად
- b. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად
- c. ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS) შესაბამისად

Question 23

სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება და კოოპერატივი

Select one:

- a. ინდივიდუალური მეწარმე და სააქციო საზოგადოება არის ფიზიკური პირი.
- b. არ არიან იურიდიული პირები.
- c. არიან იურიდიული პირები.

Question 24

ბუღალტრული გაფორმებისაა ისეთი დოკუმენტი:

Select one:

- a. რომელიც შეიცავს განკარგულებას ამა თუ იმ ოპერაციის მოხდენაზე
- b. რომელიც ასახავს უკვე მომხდარი სამეურნეო ოპერაციის ფაქტს.
- c. რომელსაც ბუღალტერიაში აფორმებენ იმისათვის, რათა მიუთითონ სად და როგორ ჩაიწეროს პირველად საბუთებში ასახული ოპერაცია

Question 25

დოკუმენტბრუნვა ეწოდება

Select one:

- a. დოკუმენტების შედგენიდან მათ ბუღალტერიაში გადაცემას, დამუშავებასა და შემდეგ არქივში ჩაბარებას

- b. დოკუმენტების შედგენიდან მათ ბულალტერიაში გადაცემას და შემდეგ არქივში ჩაბარებას
- c. არც ერთი პასუხი არ არის სწორი

Question 26

პირველი ტიპის სამეურნეო ოპერაციები ეხება:

Select one:

- a. ბალანსის აქტივის მხარეს, სადაც ერთი რომელიმე მუხლის გაზრდა იწვევს მეორის შემცირებას
- b. ბალანსის პასივის მხარეს, სადაც ერთი რომელიმე მუხლის გაზრდა იწვევს მეორის შემცირებას
- c. ბალანსის ორივე მხარეს, რომელიც თანაბრად ზრდის ბალანსის აქტივსა და პასივს, სადაც ბალანსის ჯამიც იზრდება

Question 27

მეორე ტიპის სამეურნეო ოპერაციები ეხება:

Select one:

- a. ბალანსის აქტივის მხარეს, სადაც ერთი რომელიმე მუხლის გაზრდა იწვევს მეორის შემცირებას
- b. ბალანსის ორივე მხარეს, რომელიც თანაბრად ამცირებს ბალანსის აქტივსა და პასივს, სადაც ბალანსის ჯამიც მცირდება
- c. ბალანსის პასივის მხარეს, სადაც ერთი რომელიმე მუხლის გაზრდა იწვევს მეორის შემცირებას

Question 28

მესამე ტიპის სამეურნეო ოპერაციები ეხება

Select one:

- a. ბალანსის ორივე მხარეს, რომელიც თანაბრად ზრდის ბალანსის აქტივსა და პასივს, სადაც ბალანსის ჯამიც იზრდება
- b. ბალანსის აქტივის მხარეს, სადაც ერთი რომელიმე მუხლის გაზრდა იწვევს მეორის გაზრდას
- c. ბალანსის პასივის მხარეს, სადაც ერთი რომელიმე მუხლის გაზრდა იწვევს მეორის შემცირებას

Question 29

მეოთხე ტიპის სამეურნეო ოპერაციები ეხება

Select one:

- a. ბალანსის აქტივის მხარეს, სადაც ერთი რომელიმე მუხლის გაზრდა იწვევს მეორის გაზრდას

- b. ბალანსის ორივე მხარეს, რომელიც თანაბრად ზრდის ბალანსის აქტივსა და პასივს, სადაც ბალანსის ჯამიც თანაბრად იზრდება ბალანსის პასივის მხარეს, სადაც ერთი რომელიმე მუხლის გაზრდა იწვევს მეორის შემცირებას
- c. ბალანსის ორივე მხარეს, რომელიც თანაბრად ამცირებს ბალანსის აქტივსა და პასივს, სადაც ბალანსის ჯამიც მცირდება

Question 30

ბუღალტრულ აღრიცხვაში ბალანსირების პრინციპი გამოიხატება ტოლობით

Select one:

- a. დებეტი = კრედიტს
- b. აქტივები = ვალდებულებებს + საკუთარი კაპიტალი
- c. ვალდებულებები = აქტივებს + საკუთარი კაპიტალი